საიდ. N 80686/03

IR 1232831

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N41-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) N41-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 დეკემბრის N3856/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში პირველი და მე-5 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისთვის დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 დეკემბრის N3856/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) მსგავსია კომპანიის „ლიმიტიდ ლაიაბილიტი კომპანი „ნეარმედიკ ფარმა“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PHARMA“) სახელზე დაცული ლათინური ანბანით და კირილიცაზე შესრულებული სიტყვიერი და კომბინირებული სასაქონლო ნიშნებისა: „Nearmedic Pharma“ (IR 1187454, რეგ. თარიღი: 07.11.2013); Nearmedic Pharma (IR 1188038, რეგ. თარიღი: 07.11.2013); Ниармедик Фарма (IR 1188377, რეგ. თარიღი: 07.11.2013) Ниармедик Фарма(IR 1189860, რეგ. თარიღი 07.11.2013). ზემოაღნიშნული მსგავსება ქმნის სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი და მე-5 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია, „ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან კომპანიათა ერთი და იგივე ჯგუფს. კერძოდ, კომპანია „ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) არის კომპანიის „ლიმიტიდ ლაიაბილიტი კომპანი „ნეარმედიკ ფარმა“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PHARMA“) დამფუძნებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტს მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. შესაბამისად, აპელანტი ითხოვს, „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 დეკემბრის N3856/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში პირველი და მე-5 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა ექსპერტიზის დასკვნა, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ლიმიტიდ ლაიაბილიტი კომპანი „ნეარმედიკ ფარმა“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PHARMA“) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, კომპანია „ლიმიტიდ ლაიაბილიტი კომპანი „ნეარმედიკ ფარმა“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PHARMA“) თანხმობას აცხადებს სასაქონლო ნიშნის „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში კომპანიის „ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) სახელზე, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ლიმიტიდ ლაიაბილიტი კომპანი „ნეარმედიკ ფარმა“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PHARMA“) არის ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) შვილობილი კომპანია და ორივე მათგანი მიეკუთვნება კომპანიათა ერთი და იგივე ჯგუფს. აღნიშნულის დასტურად აპელანტმა სხდომაზე წარადგინა ამონაწერი იურიდიულ პირთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – ,,საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ლიმიტიდ ლაიბილიტი კომპანი „ნეარმედიკ პლუს“ (Limited Liability Company „NEARMEDIC PLUS“) სააპელაციო საჩივარი (41/03-16) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 დეკემბრის N3856/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი და მე-5 კლასების საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანს „NEARMEDIC“ (საიდ. N80686/03, IR1232831) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი